

პროგრესიული მხარე მხარეშია, შემოღობილი



№ 199  
(3683)

1968 წ.  
ოქტომბერი,  
ოთხშაბათი.  
ფანი : ააპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რეპუბლიკური საბანო ორგანო  
**ЛЕЛО** Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის  
- 25-0 წელი.



გუშინ წაღრიკიდან თბილისის დაბრუნდა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების ხელმძღვანელი „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. შაქინაძე. მან ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სოფლის სპორტსმენთა მრავალი საინტერესო წარმატების შესახებ მოუთხრო. გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

● ჩვენს გაზეთში ხშირად ქვეყნდება ცნობები საქართველოს სოფლის სპორტსმენთა შედეგებზე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობების სპორტსმენთა I საკავშირო, კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ თამაშებში. ახლა, როცა თამაშების ალაში დაეშვა, გთხოვთ გვიამბოთ თქვენს წარმატებებზე.

— გველაზე სასიხარულო ის განსაკუთრებული წარმატებები, რომ 15 მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს შორის კომპლექსურ ჩათვლაში III საპირიო ადგილი დაეკავი და გარდაამავალი თასიც ჩამოიტანა. პირველი კომპლექსური ჩათვლაში ასე გამოიყურება: I. რსფსრ — 19 ქულა, II. უკრაინა — 25, III. საქართველო — 30, IV. ესტონეთი — 47, V. ლატვია — 50, VI. ყაზახეთი — 60.


● რამ განაპირობა ეს წარმატება?

— პირველ ყოვლისა, დაუღალავმა და ენერგიულმა მუშაობამ ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონულ და საოლქო საბჭოებში. ურიგოდ როდი იშუამავს ცენტრალური საბჭოს მუშაკებმა. გარდა ამისა, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ის ყოველდღიური დახმარება, რომელსაც საქართველოს სპორტკავშირი გვიწვდის. სპორტკავშირმა მთელ რიგ სახეობებში გამოვიყიდა გამოცდილი მწვრთნელები, რომლებმაც კეთილსინდისიერად იმუშავეს ნაკრებ გუნდებთან. შექმნილი იყო საქართველოს სოფლის სპორტსმენთა I თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე გ. ბაღაშვილი.

● ბოლო შეჯიბრებები სამ სახეობაში — მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ძალოსნობაში ნაღჩკა და პრობლანდიაში გაიმართა. სწორედ ამ ასპარეზობათა დამთავრების შემდეგ დაჩაბდა კომპლექსური შედეგები. როგორი იყო საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები ამ ეტაპზე?

— განსაკუთრებით ისახელეს თავი ფრენბურთულა ქალებმა (მწვრთნელი მ. ამირანაშვილი) და ძალოსნებმა (მ. ბასილაძე). ამ სახეობებში I ადგილები მოიხვეჭეთ. არც მძლეოსნებმა (მწვრთნელი მ. ტყემლაშვილი, ნ. თორნიანი, თ. ხერხეულიძე) გამოსულან ურიგოდ — VI ადგილი დაიხვეჭეს. სწორედ ამ წარმატებებმა განაპირობა III საპირიო ადგილი კომპლექსურ ჩათვლაში.

შედგენი არ იქნება გავისხენოთ სხვა სახეობებში მოპოვებული წარმატებებიც. მაგალითად, სავალდებულო სახეობებიდან — თავისუფალ ჭიდაობაში (მ. კუხიანიძე და გ. ქვირიანი) II საპირიო ადგილი დაეკავი, მექანიზატორთა მრავალჭიდი (მ. ხომარია) — III, ველოსპორტში (ნ. ტრეტიაკოვი და რ. გუკასიაძე) — V. 6 მთორჩვეთი სახეობიდან 2 საუკეთესო ადგილი კომპლექსურ ჩათვლაში შეიძინა. აქ თავი ისახელეს ცხენოსნებმა (რ. კორძია), რომლებმაც გუნდური I ადგილი დაიკავეს და, თანაც, ლატვიისა და ესტონეთის პრიზები მოიხვეჭეს. ბუნებრივია, ცხენოსნებმა დიდი წვლილი შეიტანეს საერთო წარმატებაში. ამას უნდა დავუმატოთ კლასი-



კური სტილის მოჭიდავეებისა (ი. ჩხარტიშვილი და ბ. ჩიტიშვილი) და ხელბურთელების (თ. ანთაძე) III საპირიო ადგილები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელბურთელების ნაკლები იმედი გვქონდა, ვინაიდან ამ სახეობაში „კოლმეურნეს“ მაინცდამაინც მდიდარი ტრადიციები არა აქვს. ნაკრების მოსამზადებლად მართლაც დიდი მუშაობა გასწია ორივედ თვით მოწვეულმა მწვრთნელმა თ. ანთაძემ.

ტყვიის მსროლელებმა V ადგილი დაიკავეს, მოშაშეებმა — XI.

● როგორია საქართველოს სოფლის სპორტსმენთა პირადი წარმატებები?

— თსუთმეტმა სპორტსმენმა ოქროს მედლით დაიმშვენა მეკრდი, თორმეტმა — ვერცხლის, ხოლო თსუთმეტმა ბრინჯაოს მედალი მიიღო. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: ო. კანდელაკი, გ. ბაღაშვილი, გ. პელეიძე, ა. კრავი-

ნენკო, ა. ჯეჯელავა... ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ჩვენს საუკეთესო ძალოსანს ჯეჯელავას დაევალებს თამაშების საზეიმო დახურვას. წარმატება მიმართავს მისთვის ოლიმპიადის დარბაზში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებისადმი.

ს უ რ ა თ ზ ე : საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნადავლი. ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## ჭკვიანურად, მრავალფეროვნად...

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I საკავშირო ასპარეზობაში მრავალფეროვნად იასპარეხეს საქართველოს „კოლმეურნის“ ფრენბურთულა ქალებმა და დამსახურებულმა მოხვეჭეს ჩემპიონობა.

გამარჯვებულებს გულთბილად მიესალმნენ თამაშების მთავარი მსაჯი, საბჭოთა კავშირის მარშალი თ. გოლიკოვი, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. შაშინი და სხვ. ქართველმა ფრენბურთელებმა პირველსავე დღეს დაამარცხეს ქვეყნის არაერთგვაროვანი ჩემპიონი — უკრაინის გუნდი. ეს მართლაც სენსაციური იყო. შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა პირდაპირ გაანადგურეს რსფსრ-ს (3:1), ბელორუსიის (3:0) კოლექტივები. ბოლო შეხვედრის წინ — ლიტვის ძლიერ ფრენბურთელებთან, მათ 2-3 ქულით ჩამოიტოვეს მეტოქეები და I ადგილიც დაიხვეჭეს.

პრაქტიკულად, ლიტველებთან შეხვედრა უკვე არაფერს წყვეტდა, მაგრამ ჩვენებმა მაინც დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 3:1.

ყაბარდო-ბალყარეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის წარგანო გაზეთი „სოფელკაცია მოლოდიოვ“ წერდა: „საქართველოს „კოლმეურნის“ ქალთა გუნდი დანარჩენთაგან გამორჩეულად საბრძოლო სულით და შედეგით თავდამსხმელობით. გუნდის კაპიტანმა ნანა ძეგოშვილმა და ლილია ბუნაკოვამ შესანიშნავი დარტყმების სერიით წარმატების ყოველგვარი იმედი დაუკარგეს მეტოქეებს.“

„არავინ“ 5 ოქტომბრის ნომერში აღნიშნავდა, რომ ფრენბურთულ ქალებში დამსახურებულად გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა.

ამრიგად, საქართველოს ფრენბურთელებმა ქალებმა ჯერ კიდევ შესარჩევ ტურში ყირგიზეთში, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და უზბეკეთის, შემდეგ კი ფინალში შემოღობულ გუნდების დამარცხებით დაიმსახურეს გარდამავალი თასი, დაჯილდოვდნენ ჩემპიონის მედლებით, ფასიანი სარეკლებით, სივლეებითა და დიპლომებით.

„ასეთ დიდ სპორტულ მიღწევას გუნდი იმას უნდა უმადლოდეს, რომ თამაშობდა ჭკვიანურად, მრავალფეროვნად, ტექნიკურად გამართულად, თითქმის შეუცდომლად“ (გაზეთი „სოფელკაცია მოლოდიოვ“).

თამაშების ფინალში ჩვენი ქვეყნის მართლაც უძლიერესი ფრენბურთელი ქალები რომ გამოდიოდნენ, ისიც მოწმობს, რომ ლიტვის გუნდი (არსებითად, რესპუბლიკის ნაკრები) სსრ კავშირის პირველობის ნრავალგზის მონაწილეა „ა“ კლასში, ხოლო ბოლო ჩემპიონატში 1968 წელს მან ანგარიშით 3:1 დაამარცხა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები. „კოლმეურნის“ ქალთა გუნდმა ნ. ძეგოშვილის, ლ. ბუნაკოვას, მ. შუღლიაშვილის, ს. მომიანტის, ა. გრიცენკოსა და ტ. პარფიონოვას შემადგენლობით, არა მარტო შემოღობულა ძლიერი კოლექტივის დამარცხება, არამედ ჩამოიტოვა დანარჩენი მეტოქეები, რომელთა კლასი ოსტატობის უტოლოდდა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენში ქალთა ფრენბურთის განვსაზღვრული შესაძლებლობა აქვს და ჩვენ ვერ ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და ხალხთა სპორტკავადებისთვის მზადების პერიოდში.

„კოლმეურნის“ გუნდის წევრებმა უფლება მოიხვეჭეს ფრენბურთის სპორტის ოსტატობის კანდიდატებად იწოდებოდნენ, ხოლო ბუნაკოვამ სპეციალური პრიზიც მიიღო, როგორც საუკეთესო მთამაშე.

მე, როგორც გუნდის მწვრთნელს, საგანგებოდ მსურს აღვნიშნო, რომ ქართველი ფრენბურთელების წარმატებას ხელი შეუწყო სამავალით მეგობრობამ, დისციპლინამ საერთომ, და, კერძოდ სათამაშომ, თანამედროვე ფრენბურთის ნიუანსების შესანიშნავა გაგება.

დაიბადა ახალი, ასპარეზობის, მეგობრული კოლექტივი (საშუალო ასაკი 20 წელი), რომელიც უმჯობესად უნდა შეეინარჩუნოთ და შეუქმნათ ყოველგვარი პირობები შემდგომი დაოსტატებისთვის.

მ. ზამრანაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



◆ მისიძე, მ. ოქტომბერი. აქ ჩამოვინდნენ წინა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული მ. რენდი (დიდი ბრიტანეთი) და ლონ ფრენური (ავსტრალია). მაგრამ ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების გუნდების წარმომადგენლებმა ამ ორ სპორტსმენის ვიზიტი ჩვეულებრივად ჩათვალეს. საქმე ისაა, რომ რენდი და ფრენური შეჯიბრებებში არ გამოვლენ. პირველი ბრიტანეთის ტელევიზიის კომენტატორია, ხოლო ფრენური მხოლოდ მაყურებელი იქნება.

◆ ნიშ-ნიშანი, მ. ოქტომბერი. ბერლინის ოლიმპიადის გმირი ჯესე ოუგენსი მეხიკოში ჩავა, როგორც აშშ-ს გუნდის კონსულტანტი. იგი დაგვიანებით ესტუმრა XIX თამაშების დედაქალაქს, რადგან პოსტიტალში მყურანლობდა ფილტვების ანთების გამო.

◆ სასუმი-ლემი-ტანსი, მ. ოქტომბერი. აშშ-ს ამ ქალაქის სტადიონზე რამდენიმე სპორტსმენმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ისინი მსოფლიო მიღწევად არ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ ჯ. კარლოსი (200 მ — 19,7) და ლ. ევანსი (400 მ — 44,0) მძლეოსნობაში ჯერ კიდევ ურვეული ფეხსაცმლით დარბოდნენ.


◆ მისიძე, მ. ოქტომბერი. ოლიმპიურ სოფელში ბინა დაიღო კიდევ 100-მა დელეგაციამ. ახლა აქ ცხოვრობს 7.797 სპორტსმენი, რომელთა შორის 890 ქალია.

◆ მისიძე, მ. ოქტომბერი. ოლიმპიადის წინა ვარჯიშზე 3 მსოფლიო რეკორდი დამყარეს ველომობლებმა. რ. კრატცერმა (გფრ) გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში აჩვენა 4.40,24. მან 3,21 წამით გააუმჯობესა იტალიელ კ. ჩემელის მსოფლიო მიღწევა. გფრ-ის ნაკრებმა გამოდევნებით გუნდური რბოლაში გააუმჯობესა თანაგუნდელების მსოფლიო რეკორდი. გუნდმა დისტანცია დაფარა 4.21,63-ში. მაგრამ მომდევნო რბოლაში გამოსულმა იტალიის გუნდმა ამ შედეგს 8,0 წამი ჩამოაკლო და ეს უკანასკნელი გახდა მსოფლიო რეკორდსმენი.




◆ ვილნიუსი, 7 ოქტომბერი. ბალტიისპირეთის სტუდენტთა I თამაშებში 7 პრიზიდან 6 მოიხვეჭეს ლიტვის სპორტსმენებმა. ისინი პირველნი იყვნენ ცურვაში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში (ქალები, ვაგები) და ფრენბურთში (ქალები). მხოლოდ ფრენბურთულ ვაჭთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყო სსრ კავშირის წლგვანდელი წლის რამდენიმე ჩემპიონი. ბალტიისპირეთის სტუდენტთა სპორტული თამაშები ტრადიციულ იქცევა. შემდეგი შეხვედრის ადგილად შეჩვენულია რიგა და გათვალისწინებულია რამდენიმე გაფართოვდეს შეჯიბრების პროგრამა.





სურათზე: აბრახანელი მოცურავე ი. სულდალცივი, რომელიც სსრ კავშირის ღირსებას დაიცავს ოლიმპიადაში.



# ოლიმპიადის გახსნაზე რაზრე 3 რეუ

## ს ი ყ ვ ე რ უ ლ ი ე რ თ ბ უ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს

ეიხაილ კეკელიძემ, როგორც მწვრთნელმა, ბედი თავიდანვე ახალბედა კალათბურთელებს დაუკავშირა. იგი დიდხანს უღვა სათავეში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს. კეკელიძის აღზრდილები სსრ კავშირის სპარტაკიადებში ბევრჯერ წარმატებით გამოსულან. ამ ბრძოლებში თავად მწვრთნელის კვალიფიკაციაც უფრო სრულყოფილი ხდებოდა, ამიტომაც შეთავაზეს მას მწვრთნელობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივისა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა თბილისის „ბურჯესტნიკი“.

ახლა კეკელიძეს ორი ამოცანა ჰქონდა: გუნდის მომზადება „კლასის დონეზე და მისი რეგრესის სრულყოფა. იცოდა: მეორე ამოცანის წარმატებით გადაჭრა პირველისთვის აუცილებელი იყო. მწვრთნელი მოთმინებით ეძებდა, არჩევდა ჰაბუტებს, რომელთაც თანამედროვე კალათბურთისთვის აუცილებელი ფიზიკური მონაცემები (განსაკურებით, სიმაღლე) ჰქონდათ.

კეკელიძის ერთ-ერთი აღმოჩენა

სერგო კოვალენკო გახლავთ. მწვრთნელმა იგი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახალგებო ნახა. მაღალი, გამბადარი უმაწვილი შეჭიბრების საყურებლად მოსულიყო... სერგოს სირბილი უჭირდა, კალათბურთსაც ცუდად იცნობდა, მაგრამ მონდომებას, ხანგრძლივ ვარჯიშს შეეძლო თავისი ვაეტანა. მწვრთნელმა და მის მომავალ აღსაზრდელს შორის „ხელშეკრულება“ მაღე დაიდო. ეს იყო შვიდი წლის წინ.

კოვალენკოს თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მწვრთნელი ამხნევედა... მუშაობა ინდივიდუალური გეგმით განაგრძეს.

დაულაღვმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: ერთი წლის შემდეგ სერგო საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში სერიოზულ ძალას წარმოადგინდა.

ამ სამი წლის წინ კოვალენკო „ბურჯესტნიკის“ წევრი გახდა. გუნდი მაშინ სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასში თამაშობდა და „ა“ კლასის საგურისთვის იბრძოდა. კეკელიძის ბიჭებმა პირველობა მოიპოვეს. ამ წარმატებაში,

ცხადია, კოვალენკოსაც მიუძღოდა წვლილი. ამრიგად, 1966 წლის საკავშირო ჩემპიონატში ითამაშებდა თბილისის 2 გუნდი — „დინამო“ და „ბურჯესტნიკი“. ეს ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის კალათბურთელთა უკეთ შეჩვენის საშუალებას იძლეოდა.

სერგომ ასე შედეგ ფეხი დიდ კალათბურთში და იმავე წელს ჩაირიცხა სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებში, რომელმაც ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მას შემდეგ თბილისელი სპორტსმენი სსრ კავშირის იუნიორთა ყველა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.

კოვალენკო საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად გამოსულა იტალიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო გუნდებთან ახაარეობაში.

კოვალენკომ განსაკუთრებით ბოლო საკავშირო ჩემპიონატში გამოიჩინა თავი. ამ წარმატებისთვის იგი ოლიმპიური გუნდის კანდიდატად ჩარიცხეს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ სერგოს განადგებული ჰქონდა მეხიკოს საგურის კანდიდატები სხვებიც იყვნენ. მექსიკაში კი მხოლოდ 12 კალათბურთელი უნდა წასულიყო. საგურის მაძიებლები კვლავ გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ, სპარინგ-მატჩებში აჩვენებდნენ ვის რა შეეძლო. ნაკრების მწვრთნელში ხან ერთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან — მეორეს. კოვალენკოსაც ბევრი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ ბოლოს მეხიკოს საგურის მას ერგო. სპორტის ოსტატი ს. კოვალენკო პირველად ჩაირიცხა სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებში.

მეხიკოში სერგოს გაჰყვა „ბურჯესტნიკის“ მთელი გუნდის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთელი კოლექტივის სიყვარული, რომელიც მან სანიმუშო ქცევით, თავდადებლობითა და თავისი კოლექტივის ერთგულებით მოიპოვა.

### 6. გიგოლაშვილი.

სურათზე: ს. კოვალენკო ავტოგრაფებს აძლევს მექსიკელ გოგონებს.

ფოტო იუპი — საკდესისა.



# რუნდი ოლიმპიადის

## მეზიკოს სიგნალები

მშხიმო, 7 ოქტომბერი. მექსიკის დედაქალაქსკენ გამოემგზავრა ტოკიოს გუნდნარტორი რ. მიწონი, რომელიც 12 ოქტომბერს, XIX ოლიმპიური თამაშების სახეობა გახსნაზე მასპინძელ ორგანიზატორებს ოლიმპიურ დროშას გადასცემს. ეს დროშა იაპონიის დედაქალაქში ინახებოდა 4 წელიწადს — 1964 წლის ოქტომბრიდან, როცა ტოკიოში XVIII ოლიმპიური თამაშები გაიმართა.

ბალახის პოკეიში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ინდოელმა სპორტსმენებმა აქ ამხანაგურმა მატჩი გამართეს ერთ-ერთ თავიანთ მომავალ მეტოქესთან — არგენტინის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. 1960 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — პაკისტანელმა პოკეისტებმა ვერაფერი მოუხერხეს ვდრ-ის გუნდს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

მძლეოსნურ ათლეტში მსოფლიო რეკორდის მფლობელი კ. მენდლინი (გურ) დაშავდა და ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით გამოსვლის მისი შანსები საგრძობლად დაეცა. ექიმების აზრით, მენდლინი ასპარეზობის დაწყებისთვის ვერ მიალწვეს უმაღლეს სპორტულ ფორმას. ვერმანის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდში დაშავდნენ, აგრეთვე, პ. ბირლენბახი და მადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენი ლიუნელ ვესტერმანი. მაგრამ თვითონ სპორტსმენები იხტიმბარს არ იტყვენ.

ოლიმპიური სოფლის სამ კორპუსში მსხვრებ ქალბებთან ვერც ერთი კაცი ვერ შეაღწევს. მოასპარეზე ქალთა რეზიდენციაში შესვლას „ვეტო“ ადევს მათი მფულელებსთვისაც კი. ქალების სახლები ლითონის მაღალი ბადითაა შემოღობილი, შესავალ კარს კი ნმ ჯარისკაცი იცავს. 1500 სპორტსმენ ქალთაგან ერთ-ერთთან „რანდევუ“ კაცმა შეიძლება თეორიულად მიიღოს მხოლოდ ურთულესი ფორმალისტური საფეხურების გავლით. მაგრამ პრაქტიკულად მთელი ამ ხნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ სოფელში პირველი ქალები ჩასახლდნენ, მათთან სტუმრად მხოლოდ ერთი კაცი იყო — ავად გამხდარ არგენტინელ სპორტსმენ ქალთან მისული ექიმი.

სსრ კავშირის  
ჩემპიონატში  
გაგზავნილი  
საგურის  
„5“ კლასი  
სპარტაკიადის

სტატისტიკოსის  
გლოკოტოვი  
მოსკოვის „დინამოს“ და ერენის „არარატის“ გუნდის წევრები მატჩში, რომელიც დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0, ყველა მუდრი ვატანელ ექნა მეთრე ტაიში. ანგარიში გახსნა ვიციყევა. დანარენი ვოლტების ავტორები არიან ლარინი და კოზლოვი.

საკავშირო ჩემპიონატის შორიგ მატჩში კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. თამაში დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 3:1.

„5“ კლასი  
სპარტაკიადის  
III კვაჯაგუში  
თბილისში ითამაშეს ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ და ულანოვსკის „ვოლგამ“. მატჩის ანგარიშია 2:0 მასპინძელთა სახარგებლოდ.

„6“ კლასი  
სპარტაკიადის  
დიდი  
ანგარიშით  
გუნდის წევრები სოხუმის სტადიონზე ადგილობრივმა დინამოელებმა მოიგეს ფოთის „კოლხეთი“.

მასპინძლებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ეს შეხვედრა. რაც შეეხება ფოთის „კოლხეთს“, ეტყობა, ეს გუნდი ამ დღეს თავის შესაძლებლობებზე დაბლა გამოვიდა.

ანგარიში გაიხსნა მე-13 წუთზე, როცა გაბისკრიას მიერ კუთხურთან მოწოდებული ბურთი შეეფერხებოდა გვიდა კარში — 1:0. გოლის გაქვითვის საშუალება ფოთელებს სულ მალე მიეცათ, მაგრამ ძაგანიამ იჩქარა და, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა, პირდაპირ ხელში მისცა მას ბურთი.

ტაიმის დასასრულს უპირატესობას მწვავ მასპინძლები ფლობდნენ. ჯერ ჯოპუამ შორიდან, ხოლო შემდეგ წოწორიამ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს „კოლხეთის“ კარში — 3:0. ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. სოხუმელები განუწყვეტლივ უტყვიდნენ, რის შედეგადაც ჯოპუამ, ლოლუამ და ზუხბაიამ კიდევ სამჯერ აიძულეს მოწინააღმდეგი ცენტრიდან დაეწყო თამაში. გაიმარჯვა სოხუმის „დინამომ“ — 6:0.

(ტელეფონით, ჩენი კორ.)

IV ზონის დანარჩენი გუნდების მატჩები ასე დამთავრდა: „მერცხალი“ (მასარაძე) — „უროფი“ (გროსნო) 2:0, „უროფი“ (დერნენტი) — „არაქსი“ (ერმიაინი) 1:0, „ტრული“ (კასპიისკი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 3:0, „ნალივარი“ (თელავი) — „სევალი“ (ოქტემბერიანი) 1:3, „ნარხანი“ (კისლოვოდსკი) — „ლორი“ (კიოვაკანი) 2:0, „უროფი“ (კრიშვი) — „სპარტაკი“ (ცხინვლი) 2:0, „ცემენტი“ (ნოვოროსისკი) — „მადაროლი“ (ჭიათურა) 2:1.



გინს ოთხ პარტიაში მოუხდა და ნებება.

სსრ კავშირის ცენტრალურმა საჭადრაკო კლუბმა ტრადიციულ აქცია საერთაშორისო ტურნირების გამართვა...



კისლოვოდსკი გურგენიძე განამტკიცა ეს მიღწევები. საინტერესოა, რომ ყველა ამ შეჯიბრებაში ნათამაშევი 49 პარტიდან თბილისელმა...

რით იყო ღირსშესანიშნავი კისლოვოდსკის ტურნირი?

შერჩევითი რომ არ იყო. ამიტომ თავს თავისუფლად ვგრძობდით და ბრძოლა შემოქმედებით...

ეს სვლა ფორსირებულად აგებს.

9. კd2 ლხ6 10. მf3 ლb2. ორველი ვერ გრძნობს თავისი პოზიციის ნაკლოვანებებს...



ამ პოზიციაში 1. d4 ვითამაშე.

გელერს (შავები) არ მოეწონა ვარიანტი — 1. ... გf 2. de ლd1 + 3. ლd1 ე:d1 + 4. ე:d1, რაკი გამსვლელ პაიკს ვღებულობდი...

19. მც7 +!

გამანადგურებელი იერიშის შესავალი. მისი მოტივი შავების განუფითარებლობაა.

გვიჩვენეთ ერთი საუკეთესო პარტია.

ალბათ, ყველაზე საუკეთესოა პარტია ბულგარელ ორგეთან. ბურგინია — ორავი

მართლაც ძალიან ეფექტური პარტიაა. ვინაა ეს ორველი?

— იგი კისლოვოდსკი გავიცანი. კეთილი კაცი ჩანს. მის 140-კილოგრამიან ფიგურას რომ შეხედავთ, სულ ვერ იფიქრებთ, თუ ეს კაცი მოჭადრაკე შეიძლება იყოს.

ლუგანო მორღონშია

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. გუშინ ფიდე-ს 39-ე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად...

ნინოციის ახალ პრინციპებზე, საერთაშორისო შეხვედრათა გეგმებზე, მაჭადრაკეებს მიანიჭებს ფიდე-ს საბატიო წოდებებს...

რას აკეთებდა ნანა კისლოვოდსკი?

— ნანა ესწრებოდა ჩვენს ტურნირს, მონაწილეობდა პარტიების გარჩევაში, ისვენებდა...

როგორია ნანას შანსი პირველობაში?

— ვფიქრობ, კარგი. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ნანა ნაღდ პირველობაში იღებდა...

დავუბრუნდეთ კისლოვოდსკის ტურნირს. როგორ წარიმართა თქვენი ბრძოლა საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესასრულებლად?

— თავიდან საქმე შესანიშნავად წავიდა. სტარტზე ზედზედ მოუფერებოდა და უნგრელ დილისტატ ხონფის. ვასიუკოვთან ყუიმის შემდეგ წავაგე ხასინთან...

შემდეგ დავამარცხე რიცი, შამკოვიჩი, ხოლო დანარჩენი შეხვედრები ყუიმით დავამთარგე...

რა მოუვიდა სიმაგინს?

— იგი 49 წლისა იყო, მაგრამ ხშირად უჩიოდა გულს. ძალიან დავილაღო, ამბობდა. კისლოვოდსკი ჩამოვიდა პოლინიტიდან...

როდის მოგანიქებთ ფიდე საერთაშორისო ოსტატის წოდებას?

— სულ მალე. ეს მოხდება ლუგანოში, XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში, ფიდე-ს კონგრესზე.

როგორ ითამაშებთ დილისტატებში ერთმანეთს?

— გელერმა მხოლოდ ერთი პარტია წავაგო ვასიუკოვთან, სამაგიეროდ, ბროსტენის მოუფერებოდა. ბროსტენიწამა მეორე წაგება ხასინისგან იგემა...

„ტალსაც კი შეუშრღებოდა!“

სსრ კავშირის ქალთა 28-ე საჭადრაკო პირველობა. აშხაბადი. გლობარობა 4 ტურის შედეგა

Table with 20 columns (1-20) and 18 rows (3. პირისაანი to 8. მ. შური). Shows chess tournament results with scores and symbols.

ამ ცხრილიდან მკითხველი ბევრს შეიტყობს, მაგრამ ციფრები, ცხადია, სრულად ვერ ახსნავენ...

სასიხარულოა, რომ ჩემპიონის ოქროს მედალისთვის ბრძოლას ტონს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ნ. ალექსანდრია აძლევს. ამას წინათ ვაჭეთ „პრავედაში“ (№ 278) საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინა წერდა: „საქართველოს ჩემპიონმა ნანა ალექსანდრია შეხვედრის თითქმის უტოქმანოდ შესწორა ფიგურა მოსკოვის ჩემპიონ ო. კაცკოვას...“

რია თვით ზვორიკინას შეხვდა. ამჯერად ვეტერანმა თავის თავზე გამოსცა ნანას გაბედული თამაშის სიმწვანე.

ყოველივე ეს დიდ იმედებს უნერგავს ქართველი ოსტატის გულშემატკივრებს. ლიდერებში არიან ვ. ბორისენკო, რ. ესტერკინა და რ. ბილუნოვა. მაგრამ მათი სპორტული მიღწევა უკეთესია, ვიდრე შემოქმედება. მაგალითად, ბორისენკოს დიდი-დიდი ყუიმი მქონდა ლვოველ მ. შულთან პარტიაში, მან კი ამ უკანასკნელის გამოუცდელიობით გამარჯვებას მიაღწია. ბილუნოვას წაგებული პოზიცია შექმნა ჩაიკოვსკაისთან, მაგრამ თბილისელმა მოახლოებულ ციატნოტკი პირდაპირ გამოჭრა ყუილი საკუთარ მეფეს — საშაშითა ქსელში გააბა იგი.

და აი, გავიდა კიდევ ერთი ტური და ალექსანდ-

და აი, გავიდა კიდევ ერთი ტური და ალექსანდ-

# ვინ ხართ, ვინ ხართ, ვინ ხართ?



**„ალუმინისტრი“.** ცაქენკო, ზელენოვი (5), პოპლუჩი (3), შატლოვი (5), პოპოვი (1), გორიჩი (2), ზემლიანო. ითამაშა რეზნიკოვმა (1).

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვ. კოვალოვი.

თამაშის დასაწყისში ხინჯიკაშვილის კარგი გარდევით დაიწყო „საბურთე“ და „ალუმინისტრი“ 7-მეტრიანი საჯარიმითი, რომელიც ნებდაილომ ოსტატურად გამოიყენა — 1:0. ამ წარმატებას დიდი დრო არ ეწერა. ჯერ პოპლუჩი, შემდეგ შატლოვი და ზელენოვი თავიანთი გუნდი საგრძნობლად დააწინაურეს — 3:1. თბილისელებმა იგრძნეს მარცხის საშიშროება და ენერგიულად ამოქმედდნენ. ირიდებდნენ წინააღმდეგობას და საბურთეში წინააღმდეგობა აღადგინეს წინასწორი 3:3, ხოლო საბურთეში ნებდაილომ ფსაქადის მიერ პირველი შეტევიდან წამოწყებული სამსვლიანი კომბინაცია ფსაქადემ გოლით დააგვირგვინა.

ამის შემდეგ თამაშის სადავებები ერთ ხანს თბილისელებს ეპყრათ და

მათ ზედმედ 4 უპასუხო გოლი გაიტანეს (ფსაქადე, ხინჯიკაშვილი, ზარდალიშვილი, ფსაქადე) — 8:3. ჩვეულებრივ, როცა გუნდი ასე დაწინაურდება, საჭიროა მოთმობული წარმატების განმტკიცება, თამაშის ისე წარმართვა, რომ ინიციატივა არ დათმო. მაგრამ ამჯერად ასე როდი მოხდა. „ბურევესტიკის“ წევრებმა გული დაიმშვიდეს, ამას ბევრი წუნი მოჰყვა და ტაიმის 24-ე წუთზე საბურთელებმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმადე დაიყვანეს — 7:8. შესვენებამდე თბილისელებმა, მართალია, ორჯერ მოახსრეს 2-2 გოლით დაწინაურება (9:7 — სხიერელი, 10:8 — ვერცვაძე), მაგრამ ტაიმის დამთავრების მუყუყველ სისტემაზე შატლოვმა კიდევ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ფსაქადისა და ნებდაილოს მონდომებამ რამდენიმეჯერ კარგი ნაყოფი გამოიღო — 12:10, 14:10, 15:12, 17:15... ეს იყო და ეს. თბილისელებს გოლი აღარ გაუტანიათ. ამ დროს კი მატჩის დამთავრებას აკლდა 7 წუთი. თბილისელთა რიგებში კვლავ თავი იჩინა დამწველმა. ამით კარგად ისარგებლეს

ჯერ. გორიჩისმა, შემდეგ ზელენოვმა და ანგარიშიც გათანაბრდა. დარჩენილ წუთში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა გოლის გატანა.

ყოველივე შემთქმული ნათლად მოწმობს, რა არათანაბარი სიძლიერით თამაშობდნენ ორივე გუნდის ხელბურთელები. თუ ასე გაგრძელდა, III ადგილიც კი უნდა დაეკავებინათ. ეს შანი ალბათ „ალუმინისტრისა“ და კრასნოდარის „ბურევესტიკის“ დარჩებათ.

ასე (კივი) — „დაუგავა“ (რიგა) 20:17 (12:6).  
ბსკ. გორიჩი (2), ველნიკი (2), ჩერნიკოვი (4), ზლორენკო, ბრატჩენკო (2), მალიკი (8), კორუი. ითამაშეს, აგრეთვე, ვლოტოვა, ზახაროვა (2) და ნისკოვა (2).

„დაუგავა“. ვილსონი, ინდუსი (1), იუბელი (8), როზენტალსი (6), სპრინგისი, კალინსკი (1), ა. გულბისი (2). ითამაშეს, აგრეთვე, პრიდენსკა (2), ვილიშინსონა, მ. გულბისი (2) და კიევისკა.

მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი რ. სარქიანი.

დასკვნითი ასპარეზობის აუტსაიდურთა შეხვედრაში არმელები თავდაუსოგავდ იბრძოდნენ და პირველი ტაიმი საკმაოდ დიდი სხვაობითავე მოიგეს. შესვენების შემდეგ რიგელები ბევრს გვადანთ თამაშში გარდატეხა შეტანათ, მაგრამ მხოლოდ ერთგვარად დაამუხრუჭეს მეტოქე და საბოლოოდ მატჩი სამგოლიანი სხვაობით წააგეს.

„კუნცევი“ (მოსკოვი) — „ალუმინისტრი“ (კრასნოდარი) 17:16 (6:8).

„საბურთე“. სემიონოვი, სოლომკო (1), მოროვი (5), ლებედევი (1), მასური (2), მიხაილოვი (2), შვენიკო (5). ითამაშეს, აგრეთვე, აფანასიევმა, ლუცენკომ, ვასილიევმა და სტოლიარმა (1).

„საბურთე“. ვიომა, პაიპალასი (4), პეტრენასი, კავოტუკასი, არუოლათისი (4), გრიშკაიჩისი (3), ვიშნიკოვი (3). ითამაშეს, აგრეთვე, პეტაუსკასმა (1) და პოდბერიცისმა (4).

მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი კიწიშლისი.

ამ დღეს „ალუმინისტრი“ საუცხოოდ ითამაშა და ძლიერ მეტოქესთან კინალამ გაიმარჯვა. ლიტველები ერთი-ვად წინ იყვნენ, მაგრამ ბოლო შეიღწეულ დაკარგეს ჯაფით მოთმობული წარმატება. „კუნცევი“ ამ გამარჯვებით ვერცხლის მელდები გაინაღდა, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გუნდმა ეს შეხვედრა ძალიან დუნედ ჩაატარა.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტიკა“ (კრასნოდარი) 26:24 (15:13).

საბურთეში ინსტიტუტი. სეგალი, რუსაკოვი (8), ვასილენი (1), ეუმიოვი (3), კლიმოვი (8), შურაველიოვი (3), კოუზოვი (2). ითამაშეს, აგრეთვე, მახორინმა (2) და ზოტოვა (2).

„ბურევესტიკა“. პიანკოვი, ბარაშევი (1), შიანი (3), ნაკონენი (1), შაქსიოვი (11), პანკოვი (5), გრინბერგი (2). ითამაშეს, აგრეთვე, დოლიგი (1) და კროსინა.


მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ბ. გელმანი.

შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. ეს არცაა გასაკვირი: მოსკოველები გამარჯვებით ჩემპიონის ტიტულს ინაღდებდნენ, კრასნოდარელები კი წარმატების შემთხვევაში III ადგილი სთვს ბრძოლაში ემუხრუჭებდნენ პიანკოვის. „ბურევესტიკა“ მართლაც ტოლი არ დაუდო ძლიერ მეტოქეს. განსაკუთრებით დაძაბა ბრძოლა შესვენების შემდეგ. დაწინაურდებოდნენ გუნდები თითო ბურთით და წინასწორი მასშინვე აღდგენილი იყო — 15:15, 16:16, 17:17, 18:18, 20:20, 21:21, 22:22, 23:23... მოსკოველებმა მატჩის მხოლოდ ბოლო 2 წუთში იმარჯვეს და კიდევ 3 გოლი გაიტანეს. კრასნოდარელებმა მხოლოდ 1 გოლით უპასუეს. ამგვარად, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა ტურნირის დამთავრებამდე 3 დღით ადრე სსრ კავშირის ჩემპიონთა სტიტი ტიტულები მოიპოვეს.

ჯ. ანუშიძე.

სურათზე: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და „კუნცევი“ ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. სააკოვისა.



## გუუინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 4 მატჩი. შედეგები ასეთია: „ალუმინისტრი“ (კრასნოდარი) — „ალუმინისტრი“ (საბურთე) 18:21 (10:11), „ბურევესტიკა“ (თბილისი) — „კუნცევი“ (მოსკოვი) 17:25 (6:14).

ასე (კივი) 20:28 (10:11), „დაუგავა“ (რიგა) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 25:26 (15:14), „ბურევესტიკა“ (კრასნოდარი) — „ალუმინისტრი“ (საბურთე) 18:21 (10:11), „ბურევესტიკა“ (თბილისი) — „კუნცევი“ (მოსკოვი) 17:25 (6:14).

საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 16.00. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინისტრი“ (კრასნოდარი), 17.20. „ბურევესტიკა“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა), 18.40. „ალუმინისტრი“ (საბურთე) — „კუნცევი“ (მოსკოვი), 20.00. ასე (კივი) — „ბურევესტიკა“ (თბილისი).

გათამაშების ცხრილში ლიდერთა ჩაგუფის მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი და აგროვა 42 ქულა, „კუნცევი“ — 35, „ალუმინისტრი“ — 27, თბილისის „ბურევესტიკა“ — 25, კრასნოდარის „ბურევესტიკა“ — 24.

რედაქტორი მ. კაპაბაძე.

თბილისის სპორტის სასახლე. 7 ოქტომბერი.

„ბურევესტიკა“ (თბილისი) — „ალუმინისტრი“ (საბურთე) 17:17 (10:9).

„ბურევესტიკა“. ხუციშვილი, ფსაქადე (გაიტანა 5 გოლი), ხინჯიკაშვილი (1), ცერცვაძე (3), ნებდაილო (5), ვაზლეთიანი, ზარდალიშვილი (2). ითამაშეს, აგრეთვე, სეფიაშვილმა და სხიერელმა (1).



## გაგვიღე სპორტის სასახლე

1. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ქალი, რომელიც დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაეცა, იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოთბილამურე ლიუბოვ კულაკოვა. იგი სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულს ფლობდა 1938 (რბოლა 5 კმ და ესტაფეტა 8 X 5 კმ) და 1941 წელს (რბოლა 5 კმ).

ლ. კულაკოვამ სსრ კავშირის ჩემპიონობა გოგონათა შორის ჯერ კიდევ 1937 წელს მოიპოვა. მან წარმატებით იასპარეზა 1939 და 1940 წლების ჩემპიონატებში მოზრდილთა შორისაც. სამამულო ომის დაწყებისთანავე კულაკოვა სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩაღდა და იბრძოდა გერმანელთა ზურგში სმოლენსკის ოლქის მიდამოებში. 1942 წლის გზაზე ხულზე მამაცი პარტიზანი დაიღუპა სოფელ ლინკისთან. მის პატივსაცემად მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ძეგლი ააგეს. კულაკოვას სახელობის შეჯიბრება ყოველ წელიწადს იმართება.

2. ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც შემდეგ მეფედ აყურთხეს, ნორვეგიელი ულაფა. იგი გამოდიოდა აფროსნობაში და 1957 წლიდან დღემდე მეფობს ნორვეგიაში.

ულაფი ჩინგიულად ფლობდა ცურვისა და თბილამურებით რბოლის ტექნიკას. ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო წოდება მან ამსტერდამის 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა. ულაფი მამან 25 წლისა იყო.

ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონის მეფედ კურთხევის სხვა შემთხვევებიც მაგალითად, 291-ე ოლიმპიური თამაშების (385 წელს ჩვენს ერამდე) ჩემპიონი მუშტი-კრივი გარანდატი მეფედ მოვედინა სომხეთს. მეორე შემთხვევას სულ 8 წლის ისტორია აქვს — რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, საბერძნეთის აფროსნობა მესაქემ კონსტანტინიმ საბერძნეთში 5 წელიწადს იმეფა. შარშან საბერძნეთში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების დამთავრების შემდეგ იმეფებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა.

3. საერთაშორისო კლასიკური ტრასა — ლა. მან. შის სრულე პირველად გადაცურა ინგლისელმა მატეუ ვებმა (1875 წ.), ხოლო წყალქვეშ ცურვით იგივე სრულე პირველად გაიარა ამერიკელმა ფრედ ბალთაზარმა (1962 წ.).

ლა. მანის სრულე სპორტულ ცურვას 90 წელზე მეტი ხნის ტრადიცია აქვს. წყალზე იმ ამ სრულეს გადაცურვის პირველი რეკორდსმენია ინგლისური სავაჭრო გემის კაპიტანი მ. ვები, ვებმა სტარტი აიღო ლუერში (ინგლისი) და 32 კილომეტრის შემდეგ (ამ მანძილს დაფარვას მან 21 საათი და 45 წუთი მოანდობა) ფინში ჰქონდა კალეს ნავსადგურში (სადრანკეთი). ქალთა შორის ამ ამოცანის გადაწყვეტა პირველად ამერიკელმა პერტრუდა ვედერლემ შეძლო (1926 წ.).

ლა. მანის სრულე ყვენთვით პირველად დაიპყრო ამერიკელმა ფ. ბალთაზარმა. ცურვა გრძელდებოდა 18 საათს და 59 წუთს. ბალთაზარმა სტარტი აიღო საფრანგეთის ტერიტორიაზე, გრინეს კონცხთან 13 საათსა და 16 წუთზე და ლისტანცია დაამთავრა ინგლისის სანაპიროზე (დილ კენტან) მეორე დღეს, დღის 8 საათსა და 15 წუთზე. ბალთაზარი ცურვად წყალგაუმტარი ტანსაცმით. მას წინააღმდეგობა ხელეობით ეწერა ჩაჩქანი, რომელიც წყალს სჭრიდა. ეს ფრედს საშუალებას აძლევდა საათში 2,5 კმ დაეფარა. ბალთაზარი წინ მიიწედა წუთში 60-80 ხელმოსმის სიჩქარით. ყველაზე კრიტიკული მომენტის გადატანა მას მოუხდა ლამის 2 საათზე, ძლიერი ღეჭვის დროს. ტალღების სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევდა. ლისტანციის ბოლო „მონაკვეთზე“ ფრედ

ებრძოდა ჯერ საკმაოდ სწრაფ დინებას, შემდეგ — ზღვის ზედაპირს. ეს ბალთაზარის მეორე დიდი გამარჯვება იყო. ადრე მას დაპყრობილი ჰქონდა მესინის სრულე (ყვიბთვით) კუნძულ სიცილიასა და იტალიის შორის.

4. ვაჟთა ოლიმპიადებში მონაწილეობა მიუღიათ დე-სილანს (IX ოლიმპიადე, 1950 წ., დუბროვნიკი, საფრანგეთის გულდი), ანა. მარია შვერიეს (XIV ოლიმპიადე, 1960 წ., ლაიპციგი, მონაკოს გუნდი), ბერნა კარასკო დე ბუდინის (XVII ოლიმპიადე, 1966 წ., შვეიცარია, ჩილის გუნდი).

5. ტრამპლინიდან თბილამურებით ბტომაში მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი ეკუთვნის ავსტრიელ რენიშოლდ ბაპლერს. რეკორდი დაშარდა 1967 წელს ჯეკერზულდში და უდრის 154 მეტრს. აღნიშნული სახეობის მსოფლიო რეკორდსმენთა ათეულში (VIII ადგილზე) საბჭოთა სპორტსმენებიდან შედის კობა წაქაძე, რომელმაც 1967 წელს ობერსტდორფში 142 მ აჩვენა.

გაეცნობთ ტრამპლინიდან ბტომაში მსოფლიოს არაოფიციალურ რეკორდსმენთა ათეულს:

რენიშოლდ ბაპლერი (ავსტრია)	154	1967
ლარს გრინი (ნორვეგია)	150	1967
კიოელ სიობერგი (შვეიცია)	148	1967
ბიორნ ვიკოლა (ნორვეგია)	146	1968
პეტერ ლენგერი (გერმ)	145	1965
ნიხო ზანდანიელი (იტალია)	144	1964
დალიბორ მოტიელიცი (ჩეხოსლოვ.)	142	1964
კობა წაქაძე (სსრ კავშირი)	142	1967
ფრანსო სლიბარი (იუგოსლავია)	141	1961
დიტერ ნოინდორფი (გერმ)	141	1965

6. ოლიმპიადების ქარტიის მიხედვით, ოლიმპიურ რჩებათ მარმარილოს დაფები ოლიმპიური ჩემპიონების გვარეობით.

7. შეჯიბრება იწყება ყოველი ძველი წელიწადის მიწურულს და მთავრდება ახალ წელს. ტრადიციულად იმართება ქალაქ სან-პაულუსში (ბრაზილია). მილეონანთა ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა „კორიდე სან-სილესტრე“ პირველად გაიმართა 1925 წელს და მას შემდეგ ყოველი ახალი წლის წინა ღამეს იღებს სტარტს 23 საათსა და 45 წუთიდან. შეჯიბრებამ თანდათან მოიხვეჭა პოპულარობა და 1967 წელს მასში უკვე 24 ქვეყნის მოწინავე სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა ცნობილმა ბელგიელმა მორბენალმა გასტონ რულანტსმა.

8. ერთ ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე დიდი მანძილი გარბინა შესანიშნავმა ჩემმა მძლეოსანმა ემილ ზატოპკამ. მან ეს თავისებური რეკორდი დაამყარა მელსნიცის XV ოლიმპიადის სამ დისტანციად — 5 000, 10 000 მეტრზე და მარათონულ რბენაში (აღსანიშნავია, რომ ზატოპკმა სამივე დისტანციაზე ოქროს მედალი მოიხვეჭა); ერთ ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე ნაკლები მანძილი (20 მეტრი) გარბინილი აქვს ინდოელ მძლეოსანს ვაგონას, 16 წლის მერა ლილა რაოს (მელბურნის XVI ოლიმპიადეზე). მერამ 100 მეტრზე რბენისას ფეხი იტყინა და ასპარეზობას გამოეთიშა.

9. მებოქოს ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებები გაიმართება 19 სახეობაში და სულ გათამაშდება 1.067 მედალი (ოქრო — 352, ვერცხლი — 352, ბრინჯაო — 363). ყველაზე მეტი მედალი გათამაშდება შემდეგ სამ სახეობაში: ცურვაში (144 მედალი), მძლეოსნობაში (135) და ტანვარჯიშში (84).

10. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სასიქადულო ქართველ ტანვარჯიშეებს ალექსანდრე ჯორჯაძეს — საქართველოს მრავალჯერ, სსრ კავშირის 1939, 1943 და 1949 წლების ჩემპიონს (დერძე). კონკურსში დაწინაურებულია გვარებს გამოვაჟიველები მერვე სერიის კითხვებთან ერთად კვირას, 13 ოქტომბერს.